ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02/59

ქ. თბილისი **8 ოქტომბერი 2015 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის მოადგილის - **მაია სიმონიძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „თავადური"** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის - **ვასილ მაკარიძის** სახით ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" გაუწევს მომსახურებას რესტორან **„თავადურში"**, ეს მომსახურება მოიცავს: ცალკეული სახის ღონისძიებებისთვის ხელშეწყობას, ამ ღონისძიებისათვის ფართის გადაცემას, წინასწარ შეთანხმებული მენიუს მიხედვით ან/და დამატებითი კერძების მომზადებას და მიწოდებას, ღონისძიების ჩატარების დროს ხელშეწყობას და შენობის დაცვას. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად CPV 55300000

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს **555,00 (ხუთას ორმოცდათხუთმეტი და 00 თეთრი)** ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და ყველა გადასახადის ჩათვლით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1მომსახურების გაწევის თარიღია - **2015 წლის 9 ოქტომბერი.**

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე **მამია ჯანჯალია.**

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული საქონლის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით წესით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.1.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დადგენილ ვადაში შესრულება;

7.1.3. მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და პირობებით;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების გაწევა უნაკლოდ, თუკი მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.3 შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.5 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,06%-ის ოდენობით.

8.6 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების განხორციელების პარალელურად მოახდინოს სათანადო შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებისმე-5 მუხლის 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებით აცნობებს მიმწოდებელს.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

13.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.

13.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მ ხ ა რ ე ე ბ ი:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	შპს „თავადური"
ს.კ. 205 300 048	ს/კ 202243802
მის.: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქუჩა N1ა	მის.: ქ. თბილისი, მაიოკოვსკის ქ. #2/4
სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის BIC კოდი: TRESGE22	
ა/ა: 707 677 117	ა/ა: GE64BG0000000118542000
უფროსის მოადგილე	დირექტორი
მაია სიმონიძე _____ **ბ.ა.**	**ვასილ მაკარიძე** _____ **ბ.ა.**